ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

სხდომის ოქმი № 42

9 ნოემბერი 2017 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრები: ლაშა აბაშიძე, ირაკლი ლექვინაძე, ნინო ხატისკაცი, ნატო ქიტიაშვილი, ირაკლი ხუცურაული, გელა არჩვაძე, გიორგი ბაგრატიონი, ირმა ზავრადაშვილი, გიორგი კოპალეიშვილი, ბექა მიქაუტაძე, ნოდარ ტურძელაძე, დიმიტრი ორმოცაძე, ვახტანგ ქიზიყურაშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ირაკლი ხელაძე, კახაბერ გვანცელაძე, ირაკლი გვილავა, სოფიო გიგანი, გაიოზ თალაკვაძე, გივი კუბლაშვილი, ია მაქაცარია, დავით მორალიშვილი, მამუკა მუმლაძე, ვალერი პაპიაშვილი, გელა ჩივიაშვილი, გიორგი წერეთელი

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი - ბადრი გიორგაძე

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი უკლება

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე - მამუკა ჯაყელი

---

§28 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 9 ნოემბრის N7 რეკომენდაციის შესახებ

/მომხს. ს. გიგანი /

აზრი გამოთქვეს: მ. ჯაყელმა, ნ. ქიტიაშვილმა, ლ. აბაშიძემ, დ. ნარმანიამ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 75-ე მუხლის „ა.ბ“, „ა.დ“ და „ე.კ“ ქვეპუნქტების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 25 ოქტომბრის N8 ოქმისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 9 ნოემბრის N7 რეკომენდაციის გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

	სოფიო გიგანი, გაიოზ თალაკვაძე, გივი კუბლაშვილი, ია მაქაცარია, დავით მორალიშვილი, მამუკა მუმლაძე, ვალერი პაპიაშვილი, გელა ჩივიაშვილი, გიორგი წერეთელი
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი -	ბადრი გიორგაძე
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი -	გიორგი უკლება
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე -	მამუკა ჯაყელი

§28 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 9 ნოემბრის N7 რეკომენდაციის შესახებ

/მომხს. ს. გიგანი /

აზრი გამოთქვეს: მ. ჯაყელმა, ნ. ქიტიაშვილმა, ლ. აბაშიძემ, დ. ნარმანიამ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 75-ე მუხლის „ა.ბ“, „ა.დ“ და „ე.კ“ ქვეპუნქტების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 25 ოქტომბრის N8 ოქმისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 9 ნოემბრის N7 რეკომენდაციის გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე, უმოკლეს ვადაში, განხილულ იქნეს:
   ა) შპს,,ცერერა"-ს კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტების საკითხი;
   ბ) შპს „ბინადარი 9“-ს კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლის გადამეტების საკითხი.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული დავალებები და მითითებები შესრულდეს უმოკლეს ვადაში, რომლის შედეგი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელ კომისიას, უახლოეს სხდომაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ირაკლი ხუცურაული

munic.mtavrobis sxdomis oqmi.pdf

insolacia.pdf

eqspertizis daskvna-rekomendaciebi.pdf

ასლია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

სხდომის ოქმი № 33

"6" სექტემბერი 2017 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრები: ლაშა აბაშიძე, გიგა ნიკოლეიშვილი, ნინო ხატისკაცი, ნატო ქიტიაშვილი, ირაკლი ხუცურაული, გელა არჩვაძე, გიორგი ბაგრატიონი, ირმა ზავრადაშვილი, გიორგი კოპალეიშვილი, ბექა მიქაუტაძე, ნოდარ ტურმელაძე, ვახტანგ ქიზიყურაშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ირაკლი ხელაძე, ირაკლი გვილავა, სოფიო გიგანი, გაიოზ თალაკვაძე, გივი კუბლაშვილი, დავით მორალიშვილი, მამუკა მუმლაძე, გელა ჩივიაშვილი, ვალერი პაპიაშვილი, გიორგი წერეთელი

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი - ბადრი გიორგიძე

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე - მამუკა ჯაყელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე - ვლადიმერ ჭიღლაძე



§10 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 6 სექტემბრის N6 რეკომენდაციის შესახებ

/მომხს. ს. გიგანი

აზრი გამოთქვეს: მ. ჯაყელმა, ნ. ქიტიაშვილმა, ლ. აბაშიძემ, დ. ნარმანიამ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 75-ე მუხლის ,,ა.ბ“, ,,ა.დ“ და ,,ე.კ“ ქვეპუნქტების, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N13.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 25 აგვისტოს N7 ოქმისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 6 სექტემბრის N6 რეკომენდაციის გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ განხილულ იქნეს ამხანაგობა ,,ამხანაგობა-89“; შპს ,,ლიბერთი სითი“; ამხანაგობა „ბინადარი 9“; შპს “იქსორი” (თამარაშვილზე); ამხანაგობა „შარტავას ქუჩა 75-2007“ ობიექტებთან დაკავშირებული საკითხები.

2. ზემოაღნიშნული დავალებები და მითითებები შესრულდეს უმოკლეს ვადაში, რომლის შედეგიც წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელ კომისიას უახლოეს სხდომაზე, დაუმთავრებელი მშენებლობის წარმომადგენლების მიერ კომისიის დავალებით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ირაკლი ხუცურაული

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის

რეკომენდაცია N6

ქ. თბილისი 6 სექტემბერი 2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 აპრილის N14.02.295 განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის, მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 25 აგვისტოს N7 ოქმის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების მიზნით და სპეციალური საშეღავათო პირობების დასადგენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას გაეწიოს რეკომენდაცია შემდეგ საკითხებზე:

1. დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - ამხანაგობა „ამხანაგობა 89" (ს/კ: 01.14.11.020.020) საკითხი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილებების საქალაქო სამსახურს დაევალა დამკვეთისთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხთან დაკავშირებით, მშენებლობის დასრულების ეტაპზე მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, მხარის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

2. დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - შპს „ლიბერთი სითი" (ს/კ: 01.14.14.011.048;) - ის საკითხი: ადგილზე მოხდეს შესასვლელ გზასთან დაკავშირებით ტერიტორიის დათვალიერება. დაევალოს ქ. თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურს გზის ადგილზე შესწავლა, კერძოდ



წარმოადგენს თუ არა წარმომადგენლის მიერ მითითებული ტერიტორია ფერდობს და შესაძლებელია თუ არა აღნიშნული გზის სერვიტუტით დატვირთვა სამშენებლო ტექნიკის გადაადგილებისათვის. აღნიშნული საკითხის შესწავლის შემდგომ კომისია იმსჯელებს წარმომადგენლის მოთხოვნებზე, ხოლო რაც შეეხება კ2 კოეფიციენტის გადამეტებაზე, მიმდინარე სამართლებრივი დავის დასრულებამდე საკითხის დადებითად გადაწყვეტას ეთქვას უარი.

3.დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - შ.პ.ს. „ბინადარი 9" (ს/კ 01.14.11.060.045) - ის საკითხი: მხარეს დაევალოს წარმოადგინოს სათანადო ნებართვების დასკვნა სატრანსპორტო გამტარუნარიანობის შესახებ. ასევე წარმოადგინოს ინფორმაცია პარკინგების რაოდენობის თაობაზე არსებული ცვლილების შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - შპს „იქსორი" (თამარაშვილზე) -ის საკითხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალოს უძრავი ქონების (მიწა) ადგილმონაცვლეობის საკითხის განხილვა, ასევე მხარეს დაევალოს საექსპერტო დაწესებულების ექსპერტის დასკვნის წარმოდგენა, შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობის შეფასების მიზნით.

5.დაუმთავრებელი მშენებლობის შემთხვევის - ი.მ.ა „შარტავას ქუჩა 75-2007" (ს/კ: 01.10.13.004.017-ის საკითხი: მხარეს დაევალოს წარმოადგინოს დამოუკიდებელი აუდიტის/ექსპერტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება (განსაკუთრებით დამატებითი ფართების მოთხოვნის ნაწილში.), ასევე კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასება/დასკვნა. კომისიის მიერ დავალებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში მხარეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების კანონქვემდებარე და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის





საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურული განათლების ხელშემწყობი

სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრი

(“არქცენტრი”)

ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქ. 19/21-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის პროექტი

ცენტრის ხელმძღვანელი ლ.ბერიძე

შეასრულა: მ.ლეკიშვილი

თბილისი, 2017 წელი

განმარტებითი ბარათი

ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქ. 19/21-ში, სადაც დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (ნახ. იგ-1).

წინამდებარე ანგარიშის მიზანია დადგინდეს, თუ რა ზეგავლენას მოახდენს ეს მშენებლობა მეზობლად მდებარე საცხოვრებელი სახლების ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის პირობებზე.

ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის პროექტი არ საზღვრავს საპროექტო ობიექტის ქალაქგეგმარებითი და სივრცით–მოცულობითი გადაწყვეტის მართლზომიერებას, რაც არქიტექტურული პროექტის ავტორის პრეროგატივაა. იგი მხოლოდ ამოწმებს პროექტის შესაბამისობას სანიტარულ–ჰიგიენურ ნორმებთან (ინსოლაცია და ბუნებრივი განათებულობა) და, დარღვევის შემთხვევაში, იძლევა რეკომენდაციას პროექტის კორექტირებაზე მისი ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ანგარიშის ჩასატარებლად დამკვეთის მიერ წარმოდგენილი იქნა გენგეგმა, მშენებარე ობიექტის კორექტირებული პროექტი; ტერიტორია ადგილზე იქნა შესწავლილი და ჩატარდა სათანადო აზომვები.

ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ანგარიში მდგომარეობს საანგარიშო სქემა-გენგეგმის შედგენაში, საანგარიშო წერტილების შერჩევაში, მათ მიმართ დაჩრდილვის კონტურის აგებაში, საანგარიშო კოეფიციენტების გაანგარიშებაში და მიღებული შედეგების ნორმირებულ მაჩვენებლებთან შედარებაში.

ინსოლაციის საანგარიშოდ შეირჩა გამოსაკვლევი სახლების უარეს მდგომარეობაში მყოფი კრიტიკული წერტილები (ფ-1, ფ-2,) - ნახ იგ-2.

ინსოლაციის ანგარიში წარმოდგენილია ნახაზებზე - იგ-3, იგ-4.

გენგეგმაზე მეზობელი სახლების ფანჯრების, საპროექტო შენობის მიმართ, განლაგების და მანძილების გამო ბუნებრივი განათებულობა არ განიცდის არსებით ცვლილებას.

დასკვნა: ჩატარებული კვლევის და ანგარიშის შედეგად დადგინდა, რომ კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულ პარამეტრებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არ დაარღვევს მეზობლად არსებული საცხოვრებელი სახლების ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ნორმებს.

ინსოლაციისა და განათებულობის საანგარიშო სქემა-გენგეგმა



ი ნ ს ო ლ ა ც ი ი ს გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

(ვიზუალური - სივრცითი მეთოდი)

ხედი ფანჯრიდან – ფ-1



არსებული განათვინიანება

საპროექტო შენობა

A_h=37°

i_n=0,28

$i_s = \frac{I_p}{I_{max}}$

I_p=755,25°

I_{max}=1530°

$i_s = \frac{755,25}{1530} = 0,49$

i_s=0,49 > i_n=0,28

ფ-3

E:\insolacia.dwg, 02.06.2017 17:03:58, DWG To PDF.pc3

ი ნ ს ო ლ ა ც ი ი ს გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

(ვიზუალურ - სივრცითი მეთოდი)

ხედი ფანჯრიდან – ფ-2



არსებული განაშენიანება

საპროექტო შენობა

A_h=37°

i_n=0,28

$i_s = \frac{I_p}{I_{max}}$

I_p=1008,6°

I_{max}=1530°

$i_s = \frac{1008.6}{1530} = 0,66$

i_s=0,66 > i_n=0,28

ი ბ-4

E:\insolacia.dwg, 02.06.2017 17:02:53, DWG To PDF.pc3

საქართველო

ტრანსპორტი და პრობლემების

კვლევის ექსპერტიზის ცენტრი

☎: 599 90 65 02

GEORGIA

TRANSPORT AND PROBLEMS

Research the centre of examination

579 58 14 14

№20/017

„12" სექტემბერი 2017წ.

შპს „ბინადარი 9"–ის წარმომადგენელს
ბატონ გოგა ტალახაძეს
მის: ქ. თბილისი, შატბერაშვილის ხევი №19–21
ტელ: 577 60 00 00

ბატონო გოგა,

გიგზავნით თქვენი 2017 წლის 08 სექტემბრის განცხადებისა და ურთიერთშორის №20 ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნა–რეკომენდაციას №20/017 – 14 ფურცლად;

დანართი:

1 .შატბერაშვილის ხევი №19–21, ჟვანიას ქუჩის №3 მხრიდან, საცხორებელი სახლიდან შესასვლელ–გამოსასვლელის შეერთებით შექმნილი სატრანსპორტო კვანძის სქემა – 2ფ;
2. ფოტო–მასალა – 6ფ;

პატივისცემით

შპს „ტრანსპორტი და პრობლემების კვლევის ექსპერტიზის ცენტრი"–ს დირექტორი: რევაზ ველიჯანაშვილი

☎: 599 90 65 02; 579 58 14 14
www.autoexpertiza.ge

მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №21/23
ელ–ფოსტა: elco13@mail.ru;

საქართველო
ტრანსპორტი და პრობლემების
კვლევის ექსპერტიზის ცენტრი
☎: 599 90 65 02



GEORGIA
TRANSPORT AND PROBLEMS
Research the centre of examination
579 58 14 14

№20/017

„12" სექტემბერი 2017წ.

ექსპერტიზის დასკვნა

(რეკომენდაციები)

☎: 599 90 65 02; 579 58 14 14
www.autoexpertiza.ge

მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №21/23
ელ–ფოსტა: elco13@mail.ru;

ხელწერილი

შპს ,,ტრანსპორტი და პრობლემების კვლევის ექსპერტიზის ცენტრი"–ს ექსპერტები: რევაზ ველიჯანაშვილი და უშანგი სტურუა გაცნობილი ვართ ექსპერტის უფლება–მოვალეობებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168–ე და ს.ს.ს.კ–ს 51–ე მუხლებით, ასევე პასუხისმგებლობას, წინასწარ შეცნობით ყალბი დასკვნის მიცემისათვის.

რევაზ ველიჯანაშვილი _____ უშანგი სტურუა

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2017 წლის 08 სექტემბერს შპს ,,ტრანსპორტი და პრობლემების კვლევის ექსპერტიზის ცენტრ"–ში მიღებული იქნა შპს ,,ბინადარი 9"–ის წარმომადგენლის გოგა ტალახაძის განცხადება, რომელიც წარმოდგენილი საქმის მასალებით ითხოვს შატბერაშვილის ხევი №19–21–ის (ს/კოდი: 01.14.11.060.045), ნ. ჟვანიას ქუჩა №3 მხრიდან, საცხოვრებელი სახლიდან შესასვლელ–გამოსასვლელი გზის ნ. ჟვანიას ქუჩაზე შეერთებით შექმნილ სატრანსპორტო კვანძზე საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის მოთხოვნების საექსპერტო შეფასებას. კონკრეტულად, საცხოვრებელი კომპლექსიდან შესასვლელ–გამოსასვლელი გზის შეერთების კვანძის მონაკვეთის გამტარუნარია–ნობა დააკმაყოფილებს თუ არა სატრანსპორტო ნაკადის გატარებას და შექმნის თუ არა მოძრაობის ორგანიზაციის მოთხოვნების შეუსაბამობას კანონით დადგენილ ნორმებთან.

წარმოდგენილი საქმის მასალებია:

1. ობიექტის საკადასტრო რუკა და მისი გეგმარი – 2ფ;
2. ობიექტის არქიტექტურული გეგმა – 10ფ;
3. საჯარო რეესტრის ამონაწერი –1ფ;
4. მშენებარე სახლის კორექტირებული პროექტის ექსპერტიზა – 2ფ;

დასმული კითხვებია:

1. შეესაბამება თუ არა შატბერაშვილის ხევი №19–21 საცხოვრებელი სახლიდან (ნ. ჟვანიას ქუჩის №3) ჟვანიას ქუჩის მხრიდან შესასვლელ–გამოსასვლელთან გზის მონაკვეთი, შეერთების სატრანსპორტო კვანძი, საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის მოთხოვნებს?
2. ახალი საცხოვრებელი ბინის აშენების შემთხვევაში, საცხოვრებელი სახლიდან შესასვლელ–გამოსასვლელი ნ. ჟვანიას ქუჩაზე კვანძის გამტარუნარიანობა დააკმაყოფილებს თუ არა მოძრაობის ორგანიზაციის და უსაფრთხოების მოთხოვნებს?

ექსპერტიზა ჩაატარეს შპს ,,ტრანსპორტი და პრობლემების კვლევის ექსპერტიზის ცენტრი"–ს ექსპერტებმა: რევაზ ველიჯანაშვილმა (ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების სპეციალისტი, ავტოტექნიკური და ავტოტრასო–ლოგიის ექსპერტიზის კვალიფიკაციით, ექსპერტად მუშაობის 32 წლის გამოცდილებით) და უშანგი სტურუამ (გზების პროექტირების სპეციალობის ინჟინერი, 30 წლის სამუშაო გამოცდი–ლებით).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ,,საგზაო მოძრაობის უსაფრთოების შესახებ";
2. საქართველოს კანონი საავტომობილო გზების შესახებ;
3. МИНИСТЕРСТВОРЕГИОНАЛЬНОГОРАЗВИТИЯРОССИЙСКОЙФЕДЕРАЦИИ. СВОДПРАВИЛ. СП 42.13330.2011 ГРАДОСТРОИТЕЛЬСТВО. ПЛАНИРОВКА ИЗ АСТРО–ЙКА ГОРОДСКИХ И СЕЛЬСКИХ ПОСЕЛЕНИЙ. Изданиеофициальное. Москва 2011.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საპატრულო პოლიცია, საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტი, ავტოპარკი, www. police.ge

გამოკვლევა

ნ. ჟვანიას ქუჩა მდებარეობს მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ვაკის რაიონში და წარმოადგენს კ. კეკელიძის ქუჩის გაგრძელებას, სადაც იგეგმება მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსის აშენება. ნინო ჟვანიას ქუჩაზე მოხვედრა შესაძლებელია ვარაზისხევიდან, ი. ჭავჭავაძის გამზირითა და შიდა რაიონული ქუჩების გავლით, ხოლო ნინო ჟვანიას ქუჩასა და ი. ჭავჭავაძის გამზირს შორის დამაკავშირებელია კორნელი კეკელიძის ქუჩა. ამ ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობების დაპროექტებისას მნიშვნელოვანია, საქალაქო მნიშვნელობისა თუ რაიონული მნიშვნელობის ქუჩებზე შესაძლო ზეგავლენის შეფასება.

გამოკვლევის მიზანია, დადგენილ იქნას ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნინო ჟვანიას ქუჩაზე (შატბერაშვილის ხევი, N19-21, (ნაკვეთი N60/45)) მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი და მრავალფუნქციური შენობის (ბინები, ოფისები, ავტო პარკინგი) მიერ მოზიდული ავტომობილებით გამოწვეული ნინო ჟვანიას ქუჩის, ნაკვეთის N60/45, მიმდებარე მონაკვეთის მოძრაობით დატვირთვის დონის და სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის პირობების შეფასება.

შატბერაშვილის ხევი, N19–21, ნაკვეთი N60/45–ის ნინო ჟვანიას ქუჩის N3 მიმდებარე საგზაო ქსელის აღწერა

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის ნ. ჟვანიას ქუჩის გასწვრივ. აქ დაპროექტებულია 14 სართულიანი საცხოვრებელი სახლი N3, 50 ბინით და 30 ადგილიანი ავტოსადგომით. ნავარაუდებია, რომ მაცხოვრებლები ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას დაუკავშირდებიან ნ. ჟვანიას ქუჩით, რომლის სიგანეა 6,9მ, სიგრძე კი 60მ, ავტოსადგომებთან მისასვლელი პანდუსის საშუალო გრძივი ქანობი შეადგენს 14%-ს. თუ გავითვალისწინებთ რომ პიკის საათში სახლის ქვედა ავტოსადგომიდან თანმიმდევრობით გამოდის არაუმეტეს 90% პარკირებული ავტომობილებისა, ერთ ავტომობილზე საშუალოდ მოდის 1წუთზე მეტი. ის სრულიად საკმარისია ავტომობილების უსაფრთხო და მოხერხებული მანევრირებისათვის. ქუჩის სავალი ნაწილის პირველ და მეორე მონაკვეთზე მოძრაობა წარმოებს ორ ზოლად 2x3,3მ.(იხ. ნახ. 1) შემხვედრი მიმართულებებით. მას არ გააჩნია ტროტუარები. ქუჩის საკვლევი უბნის გრძივი პროფილი შედგება სამი მონაკვეთისაგან (ცხრ.1), რომელთა გრძივი ქანობი არის 1-7% ფარგლებში.

პირველი მონაკვეთი – უშუალოდ მშენებარე კორპუსის წინაა. სიგრძით 60 მეტრამდე და საშუალო სიგანით 6,6მ. გრძივი ქანობი არის 1-2% ფარგლებში.
მეორე მონაკვეთის – სიგრძეა 40მ. საშუალო სიგანით 5,5-6მ. გრძივი ქანობი არის 6% ფარგლებში.
მესამე მონაკვეთი – კეკელიძის ქუჩამდე დარჩენილი მონაკვეთის სიგრძეა 60მ. საშუალო სიგანით 5,6მ. მოსახვევში მინიმალური სიგანით 4,7მ. ამ ვიწრო ადგილზე ქუჩის სიგანე ხელოვნურად შემცირებულია წითელი ხაზების გარეთ უნებართვოდ, აშენებული ბეტონის ბორდიურით.
გრძივი ქანობი არის 10% ფარგლებში.

სამივე მონაკვეთის გეგმა, გრძივი და განივი პროფილის ელემენტები, ქუჩის გასწვრივ განლაგებული სახლებიდან გამოსულ სავალ ნაწილზე მოძრავი ქვეითთა დიდი რაოდენობა და უწესრიგოდ პარკირებული ავტომობილების სიმრავლე ამცირებს გადაადგილების სიჩქარეს, რომელიც არ აღემატება 20-25კმ-ს საათში, ეს ფაქტორები მნიშვნელოვნად ზღუდავენ ავტომობილთა მოძრაობის პირობებს და აუარესებენ ქუჩის მოცემული მონაკვეთის გამტარუნარიანობას (იხ. ნახ. 1).
ცალკეული მონაკვეთების რეალურ გამტარიანობას $N_რ$ ვანგარიშობთ ფორმულით:

$$N_რ = N_თ K_ხ K_i \text{ ა/სთ}$$

სადაც:

$N_თ$ - თეორიული გამტარუნარიანობა, ეტალონურ ორზოლიან მონაკვეთზე ერთნაირი ტიპის ავტომობილებისაგან შემდგარი ნაკადისათვის გადაადგილების სიჩქარით 45-55კმ/სთ დიაპაზონში. ამ პირობებში იგი შეადგენს 2600 ა/სთ.

$K_ხ$ - სავალი ზოლის სიგანის გავლენის კოეფიციენტი. 3.0 მ-იანი სავალი ზოლისთვის $K_ხ$=0,90

K_i - გრძივი ქანობის გავლენის კოეფიციენტი-0,9. არსებული გრძივი ქანობების, დახრილი მონაკვეთების სიგრძისა და იქ მოძრავი სატრანსპორტო ნაკადების პირობებში საკვლევი მონაკვეთების რეალური გამტარიანობა მოცემულია ცხრილ1-ში.

ცხრილი.1

მონაკვეთის ნომერი	სიგრძე L კმ	გრძივი ქანობი %	სავალი ნაწილი	$K_ხ$	K_i	Nრ, ა/სთ
1	60	2	2x3.3	0.9	0.9	2106
2	32	6	2x3.2	0.9	0.8	1872
3	60	10	1x4,7	0.6	0.6	936

ქუჩის საკვლევი მონაკვეთების დატვირთვა მოძრაობით

ნინო ჟვანიას ქუჩაზე მოძრაობს შერეული სატრანსპორტო ნაკადი, რომლის 55% მსუბუქი ავტომობილებია, 45% ჯიპები და მიკროავტობუსები, შემხვედრი ნაკადები გადაადგილდებიან ერთ ან ორ ზოლზე (იხ. ნახ.2) სავალი ზოლის სიგანეა 3 - 3.3 მ. ასეთ პირობებში გამტარუნარიანობა შეადგენს 2600 დაყვანილ ერთეულს საათში. ჩვენს მიერ დეტალურად გამოკვლეული იქნა ავტომობილთა ნაკადების მოძრაობის ინტენსიობა. შეფასდა ქუჩების დატვირთვის დონე მოძრაობით ამოსავალ 2017 წ-სა და პერსპექტიულ 2022 წლისათვის.

ჩვენი მონაცემებით თბილისში ავტომობილთა მოძრაობის ინტენსიობის ნაკადების სეზონური არათანაბრობის კოეფიციენტი შეადგენს საშუალო წლიურად 0.08 და იგი პრაქტიკულად უცვლელია წლის განმავლობაში. კვირის ყველაზე დატვირთული დღეებია ორშაბათი და პარასკევი. დღის განმავლობაში კი პიკური დატვირთვის ორი პერიოდია“ დილით 8:30-10:00, საღამოთი 17:30-19:00.



ნახ. 2 ავტომობილთა ნაკადების მოძრაობის სქემა

ავტომობილთა ნაკადების მოძრაობის ინტენსიობა 11.09.2017 9:00-10:00.

როგორც ცხრილი 2 - დან ჩანს ნ.ჟვანიას ქუჩაზე პიკური დატვირთვაა 160 ავტომობილი. სავალი ზოლების გამტარუნარიანობისა და დატვირთვის დონეთა გაანგარიშებისთვის ავტომობილთა ნატურალური ერთეულები გადაგვყავს საანგარიშო მსუბუქ ავტომობილზე შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებით: დიდ ლიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი (ჯიპის ტიპისა) და მიკროავტობუსი - 1.5.

ცხრილი.2

ავტომობილთა ტიპები	მოძრაობის მიმართულებები	
	ნ ჟვანიას ქუჩა	
	1 ნ. ჟვანია - კეკელიძე ⇐	2 კეკელიძე - ნ. ჟვანია ⇒
მსუბუქი საშ. ლიტრაჟის	68	37
მსუბუქი დიდი ლიტრაჟის, მიკროავტობუსები	45	10
სატვირთო დიდი ტვირთამწეობის	-	-
ჯამი ავტ/სთ	113	47

დიდი ტვირთამწეობის სატვირთო (უნაგირა გამწე ნახევარმისაბმელით) – 5, შესაბამისად დაყვანილი ჯამური ინტენსიობა დილის პიკურ პერიოდში

1. ნ. ჟვანია - კეკელიძის მიმართულებით იქნება: 68+45x1.5=136 ა/სთ

2. კეკელიძე - ნ. ჟვანიას მიმართულებით იქნება: 37+10x1.5= 52 ა/სთ

შესაბამისად მოძრაობით დატვირთვის არსებული დონე შეადგენს:

პირველ მონაკვეთზე 188/2106=0.09 მეორე მონაკვეთზე 188/1872=0.1

მესამე მონაკვეთზე 188/936=0.2

2018 წლის ბოლოსათვის, ამჟამად საპროექტო 12 სართულიანი 50 ბინიანი სახლის და ნ. ჟვანიას ქუჩაზე აშენებული და მშენებარე 15 კორპუსის მწყობრში შესვლის შემდეგ დაემატება 350 ავტომობილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ავტომობილების 50% დიდლიტრაჟიანი (ჯიპის ტიპისა) იქნება, ხოლო პიკის საათში პარკირებაზე დარჩება მხოლოდ 10%, მაშინ დღეს არსებულ ნაკადს მომავალი წლისათვის დაემატება შემდეგი რაოდენობის დაყვანილი ავტომობილი:

(160+160x1.5)x0.9x0,9=324

სტატისტიკური მონაცემებით თბილისში შემდგომ 5 წელიწადში მოსალოდნელია ავტოპარკის ყოველწლიური ზრდა საშუალოდ 4,8%-ით, მაშინ 2022 წლისთვის ნ. ჟვანიას ქუჩაზე მოძრაობის პიკური ინტენსიობა იქნება:

$(188+324)x1.0475^5=512x1.26=645$ ა/სთ

ყველაზე დაბალი გამტარუნარიანობისაა მესამე 60მ. სიგრძის მონაკვეთი - 936 ა/სთ. (იხ. ცხრ. N1). უკანონოდ აშენებული და მოსახსნელი ბეტონის ბორდიურით გზის შევიწროების გამო.
ჩვეულებრივ, გზის ან ქუჩის გამტარუნარიანობის შესადარებლად აიღება მისი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, აქედან გამომდინარე ნ. ჟვანიას ქუჩის ყველაზე უარესი მესამე მონაკვეთის მოძრაობით დატვირთვის დონე 2022 წლისათვის იქნება: 645:936=0,69,

პირველი და მეორე მონაკვეთებისა შესაბამისად - 645:2016=0,32 და 645:1872=0,35

დატვირთვის მაქსიმალური დასაშვები დონე საქართველოში მოქმედი ნორმატივებით შეადგენს 0.75-ს. შესაბამისად ამ მონაკვეთებზე დასაშვები მაქსიმალური პიკური ინტესიობა იქნება:

პირველ მონაკვეთზე 2016x0.75=1512 ა/სთ, მეორეზე - 1872x0.75=1404 ა/სთ,

ხოლო მესამეზე 936x0.75=702 ა/სთ.

ნ. ჟვანიას ქუჩის მიზიდულობის ზონის საერთო ტერიტორიის ფართია 30000კვ.მ. ანუ მიახლოე–ბით 3ჰა. მოსალოდნელია იგი გაშენდეს უახლოესი 10 წლის განმავლობაში. მაქსიმალურად დასაშვები ურბანული დატვირთვა დიდი ქალაქების საცხოვრებელ ზონებში საქართველოში მოქმედი ნორმატივებით შეადგენს 400ადამიანს ჰა-ზე.
2022 წლისათვის ამ ტერიტორიაზე 2017 წელთან შედარებით შეიძლება დამატებით კიდევ განლაგდეს:

3x400=1200 ადამიანი.

ოჯახიანობის კოეფიციენტის სავარაუდო სიდიდეა 4.5, მაშინ ოჯახების საშუალო რაოდენობა და შესაბამისად თითო ოჯახზე თითო ავტომობილი მოგვცემს შემდეგს:

1200:4.5=266 ოჯახი=266 ავტომობილი.

თუ მივიღებთ ავტოპარკის იგივე შემადგენლობას: 50% საშუალო ლიტრაჟიანი მსუბუქი და 50% დიდ ლიტრაჟიანი (ჯიპი), აგრეთვე პიკის საათში 10%-ის სადგომზე დარჩენას ,მაშინ სრული განაშენიანების პირობებში ნაკადის მაქსიმალური ინტენსიობა პიკის საათში იქნება:

645+(133+133x1.5)x0.9=645+299=944 ა/სთ

ნ. ჟვანიას ქუჩის რეალური გამტარუნარიანობაა 936 ა/სთ. მაშინ მისი დატვირთვის დონე ტერიტორიის სრული განაშენიანების პირობებში იქნება:

944:936=1,01

რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს დასაშვებ 0,75 სიდიდეს და ნიშნავს საცობების წარმოქმნას.
ქუჩის უკანონოდ შევიწროებული მონაკვეთის გაგანიერების შემდეგ მინიმუმ 6 მერტამდე ამ მონაკვეთის გამტარუნარიანობა გაიზრდება 2600*0,9*0,6=1404 შესაბამისად დატვირთვის დონე ტერიტორიის სრული განაშენიანების პირობებში იქნება: 944:1404=0,67
რაც ნაკლებია დატვირთვის დონის დასაშვებ 0,75 სიდიდეზე აღნიშნულ პირობებში ავტომობილთა ნაკადის დასაშვები პიკური ინტენსიობა იქნება: 944:0,75=1259 ა/სთ.
ნ. ჟვანიას ქუჩის ცალკეული მონაკვეთების გამტარუნარიანობა და დატვირთვის დონეები პრო–გნოზირებადი პერიოდებისათვის მოცემულია ქვემოთ ცხრილში N3.

ნათელია, რომ ნ. ჟვანიას ქუჩის ამჟამინდელი მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს მასზე ავტო–მობილთა ყველაზე უფრო ინტენსიური ნაკადების უსაფრთხო გადაადგილებას უკანონოდ შევი–წროვებული გზის სავალი ნაწილის გამო.

ცხრილი.3

მონაკვეთის ნომერი	სიგრძე მ.	გამტარუნარიანობავტ/სთ	დატვირთვის დონეები			ზღვრულად დასაშვები ინტენსიობა
			2017	2022	2022*	
1	60	2106	0,09	0,32	0,47	1512
2	32	1872	0,1	0,35	0,50	1404
3	60	936	0,2	0,69	1,01	702

2022* - სრული განაშენიანების პირობებში

აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების (გზის შევიწროებული უბნის 4,7 მ-დან 6.0 მ-მდე გაგანიერების) შემთხვევაში ნ. ჟვანიას ქუჩა უზრუნველყოფს მასზე ავტომობილთა ყველაზე უფრო ინტენსიური ნაკადების უსაფრთხო გადაადგილებას უახლოესი 5 წლის განმავლობაში.

აღნიშნულ კვანძზე ავტომობილების ნაკადის გადაადგილება ამჟამად აკმაყოფილებს მოძრაობის ორგანიზაციის მოთხოვნებს. ამჟამად, მთელი დღის განმავლობაში პარკირებული ავტომობილები განლაგებულნი არიან სავალი გზის სამოძრაო ნაწილზე, სადაც ქუჩის დატვირთვის დონე ნორმა–ტიული, დასაშვები სიდიდისაა. ნ. ჟვანიას №3 მშენებარე საცხოვრებელ სახლამდე №8 გასწვრივ და ზემოთ რ. ჯაფარიძის ქუჩამდე შეიმჩნევა გზის სივიწროვე, ფეხით მოსიარულეთა სამოძრაო ბილიკი საერთოდ არ არის გამოყოფილი, პარკირებული ავტომობილები დგანან გზის ორივე მხარეს უსისტემოდ, სადაც დიდია მუდმივად საცობის წარმოქმნის ალბათობა.
აღნიშნულ კვანძზე ახალი სატრანსპორტო ნაკადის დამატება, რომელიც მოსალოდნელია ახალი ობიექტის საქმიანობით, თუ რა და როგორ გავლენას მოახდენს მოძრაობის ორგანიზაციის და უსაფრთხოების მოთხოვნებზე შესწავლილი და განხილულია გზის პარამეტრების, სატრანსპორტო ნაკადის სიდიდისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობაში.

დასკვნა

1. შატბერაშვილის ხევი №19–21, საცხოვრებელი სახლიდან (ნ. ჟვანიას ქუჩა №3) შესასვლელ–გამოსასვლელის ნ. ჟვანიას ქუჩის მხარეს გზის მონაკვეთზე, საგზაო კვანძზე, ავტომობი–ლების გადაადგილება სატრანსპორტო ნაკადის ინტენსივობის შესაბამისად აკმაყოფილებს საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს.
2. აღნიშნული გზის მონაკვეთზე, ახალი საცხოვრებელი სახლის (შენობა–ნაგებობის) მშენებლობით სატრანსპორტო საშუალებების დამატება კვანძზე არ გამოიწვევს მის გადატვირთვას და მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების ნორმების დარღვევას. ექსტრემალურ სიტუაციებში სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალებების: სასწრა–ფოს, სახანძროს და სხვა. მოძრაობა არ შეფერხდება.

რეკომენდაციები:

1. ნ.ჟვანიას ქუჩას შეუძლია გაატაროს პიკის საათებში მოძრავი სატრანსპორტო ნაკადი შეუფერხებლად თუ სავალი ნაწილის კიდიდან უძრავ წინააღმდეგობასთან პარკირებული ავტომობილების დაშორება იქნება არანაკლებ 1,0მ.
2. **მესამე მონაკვეთი** – კეკელიძის ქუჩამდე დარჩენილი მონაკვეთის სიგრძეა 60მ. საშუალო სიგანით 5,6მ. მოსახვევში მინიმალური სიგანით 4,7მ. ამ ვიწრო ადგილზე ქუჩის სიგანე ხელოვნურად შემცირებულია წითელი ხაზების გარეთ უნებართვოდ, აშენებული ბეტონის ბორდიურით. გრძივი ქანობი არის 10% ფარგლებში. უნდა მოხდეს მისი კანონიერება და ქუჩის პარამეტრების ნორმაში მოქცევა.
3. ნ. ჟვანიას ქუჩაზე, მთელ მონაკვეთზე საჭიროა ქვეითთა ბილიკისა და ავტომობილების პარკირების მოწესრიგება.

ექსპერტები:

რევაზ ველიჯანაშვილი _____ უშანგი სტურუა


კეკელიძის ქ.
რუსთაველის
ჯავახეთის
ნ. ჟვანიას ქ.
ხევ
მ.შ.
62
18
R6.0
6.0
6.4
6.6
16.4
3.24
3.27
3.20
7.4
8.6.3
20
40
ნახ. 3


კეკელიძის ქ.
ზის გასაგანიერებელი მონაკვეთი
III უბანი 60.0
4.7
6.4
II უბანი 32.0
I უბანი 60.0
ნ. ჟვანიას ქ.
ნაკვ. №60/45
რჩეულიშვილის
მშ.
ხევ
62
18
16
14
12
8
9
5
7
3
21
19
17
23
10
6ა
6ბ
8ა
4ა
4ბ
2ბ

ნახ. 1



1



2

ტრანსპორტის და პრობლემების კვლევის ეროვნული ცენტრი * THE CENTER OF TRANSPORT AND PROBLEMS RESEARCH EXPERTISE LTD * GEORGIA * 205232979



3



4

CENTER OF TRANSPORT AND PROBLEMS RESEARCH LTD * GEORGIA * 20523297



5



6

205232979
GEORGIA * LTD
CENTER OF TRANSPORT AND PROBLEMS RESEARCH EXPERTISE



7



8



9



10

საქართველოს ტრანსპორტის და პრობლემების კვლევის ცენტრი
THE GEORGIA CENTER OF TRANSPORT AND PROBLEMS RESEARCH EXPERTISE LTD
205232979



11



12

205232979

საქართველო

ტრანსპორტი და პრობლემების

კვლევის ექსპერტიზის ცენტრი

☎: 599 90 65 02

GEORGIA

TRANSPORT AND PROBLEMS

Research the centre of examination

579 58 14 14

№20/017 ,,12'' სექტემბერი 2017წ.

მიღება–ჩაბარების ოქმი

ოქმი შედგენილია მასზედ, რომ შპს ,,ტრანსპორტი და პრობლემების კვლევის ექსპერტიზის ცენტრ''–მა (,,შემსრულებელი) და შპს ,,ბინადარი 9''–ის წარმომადგენელმა გოგა ტალახაძემ (,,დამკვეთი'') 2017 წლის 08 სექტემბრის განცხადებისა და ურთიერთშორის №20 ხელშეკრულების შესაბამისად ,,შემსრულებელ''–მა ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე მოამზადა ექსპერტიზის დასკვნა–რეკომენდაციას №20/017 – 14 ფურცლად;

სამუშაო მიიღო

სამუშაო გასცა

შპს ,,ტრანსპორტი და პრობლემების

კვლევის ექსპერტიზის ცენტრი''–ს დირექტორი:

რევაზ ველიჯანაშვილი

☎: 599 90 65 02; 579 58 14 14

www.autoexpertiza.ge

მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №21/23

ელ–ფოსტა: elco13@mail.ru;